გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასავლეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892


**დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 3 ოქტომბ.**

## რედაქციისაგან

გაზეთი „ივერია" 1-ლ ოქტომბრიდგან წლის დამლევამდე ღირს 3 მან. 50 კაპ. მსურველს შეუძლიან ეს ფული ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანოს. (3—3)

რადგანაც სამშაბათს, 29 სექტემბერს, ქართული დრამატიულის საზოგადოების

**წლიური კრება**

არ მოხდა, ამის გამო ხელ-მეორედ დაინიშნება ეს კრება ოქტომბრის 11, დილის 11 საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში.

განსახილველი საგნები:

1) მოხსენება სარევიზიო კომისიისა.

2) მოხსენება მმართველობისა მომავალ სეზონის შესახებ.

და 3) არჩევანი ახალის წევრებისა. (3—1)

**ტფილისის ქალაქის გამგეობისაგან.**

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამითი უცხადებს ტრაქტირებისა, სანოვაგის დუქნებისა და ბაკების პატრონებს, რომ იგინი ვალდებულნი არიან ტრაქტირების დებულების მე-17 პარაგრაფის ძალით ოქტომბრის განმავლობაში აიღონ ტრაქტირისა, დუქნისა, ან ბაკის 1893 წელს გაღების ნების მოწმობანი გამგეობისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ამ გვარი რამ აქვთ წლეულს, მერმის ნება აღარ ექნებათ იქონიონ. პირველ ნოემბერს შემდეგ მოწმობებს აღარ მისცემს ქალაქის გამგეობა და მოწმობების არ ამღებთ იმავე დებულების მე-18 პარაგრაფის ძალით მომავალ წლის პირველ იანვრიდგან ტრაქტირი, სანოვაგის დუქანი ან ბაკი დაეკეტებათ. (1—1)

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 1 ოქტომბერს,

ქართული დრამატიული საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქმნება პირველად

ახალი პიესა

**დანაშაული და სასჯელი**

მელოდრამა 5 მოქმედ. თხზ. ბელლოსი

**თარგმ. ვ. ა. აბაშიძისა.**

მოთამაშენი: ქქ. ავალოვისა, მელიქიშვილისა, ტარიელოვისა, სარიდანიძისა; ბბ. აბაშიძე, გუნია, სვიმონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, მჭედლიძე, ადამიძე და სხვ.

ადგილების ფასი დაკლებულია

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ

მზადდება ახალი პიესები: „პარიჟის ღატაკნი", „ზოგი ჭირი მარგებელია" და სხვა.

ადმინისტრატორი გ. ლ. გუნია.

**ოფიციალური ცნობანი ხოლერის შესახებ.**

მიხეილის სამკურნალოში 29 სექტემბერს ხოლერით ავადმყოფი იყო მხოლოდ 2; იმ დღეს საავადმყოფოში არავინ მიუყვანიათ.

ბორჩალოს მაზრის ს. შულავერში ხოლერით ავად გახდა 1; ს. ხოჩიკელში გარდაიცვალა ხოლერით 5 კაცი.

## ახალი ამბავი

*** განჯას ავად არავინ გამხდარა. გუბერნიაში ავად გახდა 16, მორჩა 13, გარდაიცვალა 8, დარჩა 18.

ყარსს 28 სექტემბერს ავად იყო 10, 27—28 სექტ. კიდევ ავად გახდა 2; მორჩა 5, გარდაიცვალა 1.

თემირ-ხან-შურას ხოლერით ავად არავინ გამხდარა, ოლქში 26—27 სექტემბერს ავად გახდა 25, გარდ. 1, მორჩა 19, დარჩა 88.

სტავროპოლს 24—28 სექტ. ავად გახდა 2, გარდაიცვალა 2, მორჩა 3; გუბერნიაში ავად გახდა 69, გარდ. 32, მორჩა 41.

ზაქათალის ოლქში 21—28 სექტ. ავად გახდა 22, მორჩა 4, გარდ. 15, მორჩა 8.

*** რადგანაც დღეს სვეტიცხოვლობის გამო სოფ. მცხეთას ძლიერ ბევრი ხალხი იქნება, ტფილისის გუბერნატორის ბრძანებით, სოფ. მცხეთას გაიგზავნა მკურნალი მაჭავარიანი და რამდენიმე ფერშალი წამლებითურთ, რათა შემწეობა აღმოუჩინონ, თუ ვინმე ხოლერით ავად გახდა.

*** 29 სექტემბერს, სამშაბათს საღამოს, დანიშნული იყო ქართულ დრამატიულ საზოგადოების წლიური კრება, რომელიც წესდების ძალით ყოველს წელს სექტემბერს უნდა მოხდეს, მაგრამ რადგანაც წევრთა რიცხვი მცირე აღმოჩნდა, ამის გამო სხდომა აღარ შესდგა. ამ კრებაზედ განსახილველი იყო, სხვათა შორის, სარევიზიო კომისიის მოხსენება წარსულის წლის ანგარიშის შესახებ. მმართველობისაგან წარმოდგენილი ანგარიში აპრილსა და მაისში საზოგადოების საერთო ყრილობამ განიხილა და დაამტკიცა. ამასთან ამორჩეულ იქმნა სარევიზიო კომისია ანგარიშების განსახილველად. კომისიის მოხსენება ამ ანგარიშების შესხებ საზოგადო კრებამ გადასდო სექტემბრის წლიურს ყრილობამდე. უმთავრესს საინტერესო საგნებში ეს მოხსენებაა და მეორე საგანი მოხსენებაა მმართველობისა წლევანდელ სეზონის წარმოდგენათა შესახებ. როგორც შევიტყეთ სარევიზიო კომისიის მოხსენება ვრცლად არჩევს წინანდელ მმართველობის ანგარიშებს და ბევრი სამართლიანი შენიშვნები დაურთავს. ეხლანდელ მმართველობას ბევრი შენიშვნა სამართლიანად უცვნია და მხედველობაში მიუღია ასასრულებლად. ყველა ეს გარემოება იმდენად საინტერესოა დრამატიულ საზოგადოების მდგომარეობისათვის, რომ საკვირველია, რატომ არ მიიპყრო საზოგადოების წევრთა ყურადღება და ვერ შესდგა საერთო ყრილობა. 11 ოქტომბერს იგივე საგნები განიხილება, რაც 29 სექტემბრისთვის იყო აღნიშნული. სასურველია, რომ წევრები მარტო მაშინ-კი არ გამოფხიზლდნენ, როცა მმართველობის ამორჩევაა, არამედ ყოველ საქმეს თვალ-ყურს ადევნებდნენ, თუ-კი მართლა საზოგადოების საგნისათვის გული სტკივათ და მისი წინ წაყვანა საწადლად მიაჩნიათ.

*** პარასკევს, 2 ოქტომბერს, საღამოს $7^1/_2$ საათზედ დანიშნულია მორიგი კრება კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოებისა. კრებაზედ წაკითხულ იქმნება ორი მოხსენება: 1) ბ-ნ სტეფანოვსკისა—„შავი სადახი ტფილისს მე-15 საგრენადერო პოლკში 1888 წლიდგან 1892 წლამდე". და ე. ხელმოვსკის მოხსენება—„შავი სახადი სადივიზიო ბანაკში ქ. შურასთან 1890 და 1891 წლებში".

*** საქალაქო სამკურნალოს დირექტორს, მკურნალს ავთანდილოვს, ამავე სამკურნალოს საბჭოს გარდაწყვეტილებისამებრ, მიუმართავს ქალაქის გამგეობისათვის და უთხოვნია, ქალაქის სამკურნალოსა და ორ განყოფილების მოხელეთ ორის თთვის ჯამაგირი მიეცეთ ჯილდოდ იმ შრომისა და მეცადინეობისათვის, რომელიც მათ არ დაზოგეს ხოლერიანობის დროს და ერთგულადა და მხნედ უვლიდნენ ავადმყოფთ. ეს თხოვნა ქალაქის გამგეობამ საბჭოს სასანიტარო კომისიას გადასცა განსახილველად.

*** ორშაბათს, 28 სექტემბერს, მოხდა კრება ტფილისის ქალაქის საბჭოსი. კრებამ განიხილა მოხსენება გამგეობისა იმის შესახებ, რომ 1893 წ. ქალაქის სასარგებლოდ გაწერილი გარდასახადი მეტი გამოართვან ტრაქტირების პატრონებს. აქამდე თითო ტრაქტირს წელიწადში 100 მანათს ახდევინებდნენ. კრებამ გადასწყვიტა, ამას იქით 120 მანათი გამოართვას. შემდეგ კრებამ გადასწყვიტა, 1892 წლის 1 ოქტომბრიდგან პურის ნიხრი შესცვალოს და მეორე და მესამე ხარისხის პურს გირვანქაზედ $^1/_2$ კაპეიკი მოუმატოს. ამას გარდა განხილულ იქმნა მეფურნეების თხოვნა იმის შესახებ, რომ ნება მოგვეცით მეოთხე ხარისხის პური ვყიდოთო. საბჭოს კრებამ ეს თხოვნა არ შეიწყნარა.

*** წელს მთელ კავკასიიდგან ჯარში უნდა გაიყვანონ 2,400 კაცი. ტფილისის საგუბერნიო სამხედრო ბეგრის საქმეთა საკრებულოს გარდაწყვეტილებით ტფილისის გუბერნიაში 624 კაცი უნდა მოჰკრიბონ ჯარში გასაყვანად. ეს რიცხვი ასე განაწილდება:

| | რამდენი კაცია ჩაწერილი სიაში ჯარში გასაყვანად. | რამდენი უნდა გაიყვანონ. |
|---|---|---|
| ქ. ტფილისს . . | 406 | 36 |
| მაზრები: | | |
| ტფილისისა . . | 408 | 36 |
| ახალციხისა . . | 260 | 24 |
| ბორჩალოსი . . | 724 | 64 |
| გორისა . . . . | 1978 | 172 |
| დუშეთისა . . . | 840 | 74 |
| სიღნაღისა (ზაქათალის ოლქით) | 1086 | 95 |
| თელავისა . . . | 514 | 47 |
| თიანეთისა . . . | 355 | 31 |
| სულ. | 7112 | 624 |

*** ჩვენ მოგვივიდა ცალკე ბროშიურად გადმობეჭდილი წერილი ბ-ნ ალ. ხახანაშვილისა „Составъ и источники начальной грузинской лѣтописи". ეს წერილი დაბეჭდილია პირველად საერო განათლების სამინისტროს ჟურნალში.

*** ჩვენ გვატყობინებენ, რომ ტფილისის თამბაქოს მექარხნეს ნიკოლოოზ ბოზარჯიანცს, რომელმაც სამრეწველო ...

# ფელეტონი

**ფიქრები**

(ხოლერის გამო)

ვგონებ შაჰ-აბაზის შემოსევამაც არ ააყაყანა ისე საქართველო, როგორც ხოლერის გაჩენამ: ხოლერა სიკვდილის მომასწავებელია და ჩვენ ხომ სიცოცხლის მეტის-მეტად მოყვარულნი ვართ და და ან-კი რას არ აგვაყაყანებდა. მართლაც, ვინც ანა-ბანა არ იცოდა, ეხლა ისწავლა, რომ ხოლერაზედ რამ მოიწეროს გაზეთში. ვისაც გაზეთი მხოლოდ ყურით გაუგონია, განაღამც წაეკითხოს, ან დაეწეროს რამ, დღეს კორრესპონდენციას სჩალხავს და ჰგზავნის გაზეთში დასაბეჭდად. ესეც კაი საქმეა. თუ ხოლერა არა, თქვენი მტერი, თავის დღეში კალამს არ აიღებდა ხელში. ხოლერა ჭირია სხეულისა, სიცოცხლის მტერი და, რა თქმა უნდა, ცოცხალს თვალებს გაახილებინებს, აალაპარაკებს. ეს საკვირველიც არ არის. ამიტომ ცოცხალნი ღონის-ძიებას ეძებენ, როგორმე თავიდამ აიცდინონ, წამალი მოუძებნონ; ვისაც წამლობის იმედი არა აქვს და არც ის უწყის, რომ თავი და თავი წამალი ხოლერისა სისუფთავეა და ზომიერება ყველაფერში, სხვა ღონე არ დარჩენია, უნდა გაიქცეს და ტურასავით ტყეში დაიმმასი ალოს; ანებებს თავის ქოხ-მახს თავისა, თავის სარჩო-საბადებელს სტოვებს ღვთის ანაბრობაზედ და გარბის; იმას-კი აღარა ფიქრობს, რომ ერთი და იგივეა, მგელი შესჭამს, თუ მგლის შვილი.

ესეც რაც არის—არის, მადლობა უფალსა. ეს მე არ მიკვირს, საკვირველი უფრო ისაა, რომ ჩვენს ცხოვრებაში სხვა ხოლერაცა ბუდობს, უფრო სასტიკი, უფრო მავნებელი. ნეტავი ერთს დღეს მაინც ამ მეორე ხოლერამ ისე ააყაყანოს ხალხი, როგორც ეს ბაცილა-ბაქტერიების დედა აყაყანებს ქვეყანას ამ სამი-ოთხის თთვის განმავლობაში. ერთის მხრით რომ იფიქროს კაცმა, იმას დაასკვნის, რომ ალბად სხვა არაფერი არა უჭირსრა ჩვენს ხალხს, ჩვენს ქვეყანას და იმიტომ არავინა ყაყანებს, არავინ რას ამბობს, მაგრამ ამ გვარი ფიქრი ტყუილი ფიქრი გამოდგება. მაშ სხვა ხოლერა არა ბუდობს ჩვენში და არ გვმუსრავს?!

აბა გადავავლოთ ჩვენს მხარეს თვალი, აბა კარგად დავუკვირდეთ ჩვენს გარემოებას, ჩვენს წამხდარს საქმეს, თუ მართლა უარესის ხოლერით არ ვიყოთ ავად. ამ ხოლერას ვერ უპოვნეთ ვერ საიდამ წამალი, იმაზედ არც სისუფთავე სჭრის, არც დეზინფექცია. აბა ხოლერა, ნამდვილი ხოლერა ეს გახლავსთ. ეს ისეთი ხოლერაა, რომ განა ორი ათასში ათასს მოჰკლავს და ათასი გადაჰრჩება?! არა, ყველას იმსხვერპლებს, მთელს ერს მუსრს გაავლებს. რატომ ამ ხოლერაზედ არა ყაყანებს, არა ჰღაღადებს ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მოძმე? იქნება ის ხოლერა არსად არსებობდეს და მე მეჩვენებოდეს მარტო? არა, არსებობს, მაგრამ იმდენი ვერა ჰხედავს იმას, რამდენიც ამ „ბაცილების" დედას და იმდენი ხმაურობა, ჟრიამული იმიტომ არც ისმის ამ მეორე ჯურის ხოლერაზედ.

—

ათასი უსამართლოდ დაჩაგრული დღევანდელ ჩვენის ცხოვრების გარემოებათაგან, იგივე ხოლერის მსხვერპლი, მისგან მოკლული არ არის?

მოვიგონოთ ასი-ათასობით უმეცარნი, უსწავლელნი, უპირნი, ცხოვრებას რომ ეთრევინებიან, სცხოვრობენ მხოლოდ იმიტომ, რომ ათენ-

ლო გამოფენაზედ პარიჟში თავის მომზადებული თამბაქო და პაპიროსი გამოფინა, გამოფენის კომიტეტმა მიანიჭა უმთავრესი ჯილდო—ოქროს მედალი საპატიო დიპლომითურთ (Le grand prix d'honneur de Paris). გარდა ამისა მიიღო უმაღლესი საჩუქარი—ოქროს მედალი საპატიო დიპლომით და აგრეთვე ნიშნები დამსახურებისა ღვინის ვაჭარმა ივანე იაგორის ძემ ოგანოვმა ბრიუსელის გამოფენაზედ 1891 წელს. ეს ნიშნები მოუვიდათ ორივეს ამ დღეებში.

⁂ ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურ „ნავთლუღსა“ და „ალტაგლიას“ შუა და აგრეთვე სადგურ „ალტაგლიასა“ და „ყარაიაზს“ შუა ამ დღეებში ახალ სადგურების შენობა დაიწყეს. ამ სადგურების აშენება საჭიროა იმიტომ, რომ ყარაიაზიდგან ტფილისამდე აღმართია და მატარებელს ძლიერ უჭირდება ხოლმე.

⁂ ცხენების გამოფენაზედ ტფილისში, პარასკევს, ოქტომბრის 2, ექსპერტების კომისია გასინჯავს ცხენებს, დააფასებს და ღირსეულს ცხენებს დააჯილდოებს კიდეც. ჯილდოები გამოფენილ ცხენების პატრონებს კვირას, ოქტომბრის 4, ღილის შემდეგ დაურიგდებათ.

⁂ 29 სექტემბერს ტფილისს მომავალი დღის მატარებელი დიდხანს გააჩერეს მცხეთას, რადგან ბალაჟის ბარგი ორთქლის ქვაბში ამყოფეს საათ-ნახევარს. ეს პირველი ცდა იყო ორთქლის ქვაბში ბარგის გამოტარებისა. აქამდე ბარგს მხოლოდ დაორთქლავდნენ ხოლმე წყალ-ნარევის სულემით. მატარებელი ტფილისს თითქმის 4 საათზედ ჩამოვიდა.

⁂ ნაგომარი (გურია): ათი წელიწადია, რაც აქ სკოლა არსებობს, მაგრამ ამ ათის წლის განმავლობაში წესიერს გზაზედ ვერ დადგა. ახლა-კი ვგონებ ეშველოს ამ სკოლის საქმესაც. ხალხმა შეადგინა განაჩენი სკოლის დაარსების შესახებ და წარადგინა, საცა ჯერ არს. მოჰკრიბეს აგრეთვე ფული და დაიწყეს სასკოლო შენობის აგება. მასწავლებლად იწვევენ სემინარიაში კურს-დამთავრებულს ს. ანდღულაძეს, რომელიც, იმედი უნდა ვიქონიოთ, გულ-მოდგინედ მოეკიდება საქმეს. საჭიროა მხოლოდ, რომ თვით სოფელმაც არ უღალატოს სკოლას და ყოველისფრით ხელი შეუწყოს თავის მასწავლებელს.

⁂ გორი: დიდად უსუფთავოა გორში ტინის ხიდის ქუჩა. ამ ქუჩას რუ ჩამოუდის, რომელშიაც მცხოვრებნი ჰყრიან ყოველ-გვარს უსუფთაობას და მერე-კი წყალს ისევ იქიდგან იღებენ და ათასნაირად ჰხმარობენ. პირველად ამ ქუჩაზედ იჩინა თავი ხოლერამ გორში.

⁂ პიატიგორსკი: მეტად სამწუხარო ამბავი მოხდა აქ 14-ს სექტემბერს: ორშაბათი დღე იყო, საათის 12-ტი. ყოველ ორშაბათობით აქ «იარმუკობა», ბაზრობა იცის ხოლმე და აი ამ დღესაც დიდი და პატარა ბაზარში იყვნენ გამოსულნი, როდესაც უეცრად დაინახეს, რომ ერთის ჩალურის სახლიდგან საშინელი ალი ამოდიოდა და იწოდა. დაიძახეს: ცეცხლი, ცეცხლიო! ყველანი იქითკენ გაექანნენ, მაგრამ, საუბედუროდ, ვერავინ შემწეობა ვერ აღმოუჩინა, რადგანაც საშინელი ქარიანი დღე იყო. ქარმა ერთის სახლიდგან მეორისაკენ გადაიტანა ცეცხლი, მეორიდგან მესამეზედ, ასე რომ მთლად გაყოლება 23 ჩალის სახლი გადაწვა და გადაბუგა ცეცხლმა. ყოველი სარჩო-საბადები შიგ დაეწვათ, ვერავინ ვერაფერი ვერა გადაარჩინა-რა. საშინელი სანახავი იყო, საქათმეები რომ იწოდა: აუარებელი ქათმები ერთი მხრიდგან მეორე მხარეს ჰფრინავდნენ და შიგვე ცეცხლში სცვიოდნენ. სახლებიდგან ორი პატარა ყმაწვილი გამოიყვანეს, რომელთაც ტანთ-საცმელზედ ცეცხლი ეკიდებოდათ, ძლივს გაუქრეს ცეცხლი და გადაარჩინეს სიკვდილს. ზარალი დიდია გადამწვართა გლეხებისა, დაზღვეული-კი არა იყო-რა.

⁂ ლეჩხუმი: ამას წინად სოფ. ჟოშხაში დაეწვა სახლ-კარი და ოჯახის მოწყობილობა აზნ. დიმიტრი მეტონიძეს. შენობის ქვედა სართული პურის ნამჯით ჰქონოდა ხსენებულს აზნაურს სავსე, სადაც ჩავარდნია პატარა ბავშვს მოკიდებული სპიჩკა. ცეცხლი მოსდებია ნამჯას და ერთის საათის განმავლობაში მთელი შენობა გადაიბუგა.

⁂ გაზეთ „Нов. Обоз.“-ში ვკითხულობთ: რაჭის მაზრის დაბა ონის მახლობლად მაღალ კლდეში ერთი მღვიმეა, რომელსაც ხალხი „დედოფლის საყდარს“ უწოდებს. ამ ორის წლის წინად ერთმა გლეხმა კიბე გააკეთა მღვიმეში ასასვლელად. ამ გლეხმა უამბო ხალხს, რომ კიბის გაკეთებას ანგელოზები მშველოდნენ და რამდენჯერმე დედოფალი თამარიც გამომეცხადა და მითხრა, მღვიმეში აუარებელი სიმდიდრეა შენახულიო. ადგილობრივმა პოლიციამ ამ გლეხს მღვიმეში ასვლა აღუკრძალა, მღვიმეს კარები დაჰხშო და ეს ამბავი ქუთაისის გუბერნატორს შეატყობინა.

ამ ხოლერობის დროს ადმინისტრაციას ამ საქმისთვის არ ეცალა, მაგრამ ეხლა-კი ურიგო არ იქნება ყურადღება მიაქციონ ამ მღვიმეს და გასინჯონ, მით უფრო, რომ ჯერ ერთი მღვიმეს გასინჯვა არხეოლოგიის მხრივ არის საყურადღებო და მეორეც ისა, რომ ამითი ბოლო მოეღება ათასს გვარს მითქმა-მოთქმასა და ჭორებს, რომელიც ხალხში ტრიალებს მღვიმეს შესახებ.

⁂ ამას წინად ტფილისში გარდაცვალებულის ი. ი. პოლტორაცკის მოადგილედ, გაზეთ Нов. Обоз.“-ს სიტყვით, ქ. ბაქოს ნოტარიუსი ბ-ნი სიანოჟენსკი იქმნება დანიშნული.

⁂ გაზეთ „ნორ-დარს“ სწერენ ბაქოდგან, რომ იქ ეხლა ხუნაგი მძვინვარებსო. ბაქოს ერთს ნაწილში, საცა მომეტებულად თათრები სცხოვრობენ, თვალის ავადმყოფობა გაჩენილა თურმე.

—

შეცდომის გასწორება. გუშინწინდელს ნომერში შეცდომით დაბეჭდილი იყო ახალ ამბავში: სოფლად ხოლერით დაზარალებულთა სასარგებლოდ აქამდე გვქონდა 10,119 მან., 35 კაპ. ამითი შესდგა 10,119. 15 კაპ. უნდა იყოს: აქამდე გვქონდა 1109 მან., 35 კაპ. სულ შესდგა 1119 მან., 15 კაპ.

## მთავრობის განკარგულებანი

ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა მმართველის თანაშემწედ დანიშნულ იქმნა კოლეჟსკი სოვეტნიკი მარკგრაფი.

ტეხნოლოგი კოლეჟსკი სეკრეტარი ვახრამოვი დანიშნულ იქმნა ინჟენრის ადგილზედ დაღესტნის ოლქში.

ქუთაისის გუბერნიაში მიიღეს ვერცხლის მენდლები გულზედ სატარებლად: მამასახლისმა სატლილის საზოგადოებისამ ართვინის ოლქისა ასლან-ბეგ-არიფ-ბეგ-ოღლიმ, მამასახლისმა ჩხალეთის საზოგადოებისამ ოსმალ-აღა-კესიკინ-ოღლიმ, მამასახლისმა ფაქვეშის საზოგადოებისამ სუხუმის ოლქისამ რეშიდ-ხაზაბაიამ, საბერის საზოგადოების მამასახლისმა ფეზ-მოლოვზონიამ, ფშაპის საზოგადოების მამასახლისმა აყუბ-ხვინგიამ.

ზაქათალის ოლქში მიიღეს ვერცხლის მენდლები გულზედ სატარებლად: სოფელ თალის მამასახლისმა მოლლა-რაჯაბ-ჰაჯი-ომარ-ოღლიმ, სოფელ ამირჯანლოს მამასახლისმა ილიას-უზბაშ-ოღლიმ, ს. კახის სოფლის მოსამართლემ შიო ხუციშვილმა.

განჯის გუბერნიაში დანიშნულ იქმნენ: განჯის პოლიციის ბოქაულად კოლეჟსკი სეკრეტარი ლევან ავშაროვი და კოლეჟსკი სეკრეტარი იერემია ჩიქოვანი; ტფილისის მეორე გიმნაზიის მასწავლებლის თანაშემწე აზელ ბაირამაშვილი დანიშნულ იქმნა ქალაქ ნუხას პოლიციის ბოქაულად.

დათხოვნილ იქმნენ სამსახურიდგან თავისისავე თხოვნით: ბოქაული ქ. ნუხისა პოდპორუჩიკი ჯომარჯიძე, ყაზახის მაზრის მესამე განყოფილების ბოქაული შტაბს-კაპიტანი აბრამ მელიქიშვილი, არეშის მაზრის მესამე განყოფილების ბოქაული კოლეჟსკი სეკრეტარი ქუთათელაძე.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ლეჩხუმი.** იჩინა თუ არა თავი ტფილისში ხოლერამ, ჩვენის მაზრის მმართველი შეუდგა საჭირო ზრუნვა-მეცადინეობას, რომ, თუ ჩვენს მაზრასაც ეწვეოდა ეს საზარელი აზიური სტუმარი, მოუმზადებელი არ დაჰხვედროდა, და ამის გამო იმოდენა მსხვერპლი არ გაეტანებინა ამ ეპიდემიისათვის, რამდენიც უკვე წაიღო იმ დაბა-სოფლებიდამ, საცა მოუმზადებლად და უთადარიგოდ დახვდნენ ხსენებულს სენსა. მაზრის უფროსმა თითონ დაიარა მთელის მაზრის სოფლები და მოახდინა საჭირო განკარგულება სოფლების გაწმენდისა და გასუფთავებისათვის; დააყენა თითოეულს სოფლებში სასანიტარო დასნი და სხვა. გაათავა თუ არა აქ სოფლების დავლა და საჭირო თადარიგის დაჭერა, მაზრის უფროსი გაეშურა სვანეთში, რათა იქაც მოეხდინა საჭირო განკარგულება სოფლების გასუფთავების შესახებ და დაერიგებინა ხალხი.

სამწუხაროდ, ხოლერამ არც ჩვენი მაზრა დასტოვა უნახავად, აქაც იჩინა თავი და ისეთს ალაგას, სადაც სრულიადაც არ წარმოვიდგენდით, თუ ეს მოარული იქამდისაც მიაღწევდა და მისი თვალთ უჩინარი ბაცილები სვანეთის მაღალ მთა-გორებს ეგრე თავისუფლად გადივლიდა. აგვისტოს დამდეგს, სადადიანო სვანეთის სოფ. საშაშს იჩინა თავი ხოლერამ და რამდენიმე კაცი გახდა ავად ამ სენით; სვანებს არ ეგონათ ხოლერა და იმდენად არა შიშობდნენ, მაგრამ, როდესაც რამდენიმე კაცი უცბად გამოესალმა წუთი-სოფელს, მერე-კი დიდს შიშსა და სასოწარკვეთილებას მიეცნენ. სწორედ ასეთს გაჭირვების დროს გაუჩნდათ საცოდავ საშაშლებს მაზრის უფროსი მაზრის მკურნალებით და საჭირო წამლებით. მაზრის უფროსს, გაეგო თუ არა ხსენებულს სოფელში ხოლერის გაჩენის ამბავი, მაშინვე გამოეწია ზემო სვანეთიდამ და მისულიყო პირდაპირ იმ სოფელში, სადაც ხოლერა მძვინვარებდა. ავადმყოფებისთვის სოფლის მოშორებით გაეკეთებინა საწოლები და ექიმები დაეყენებინა ფერშლითურთ. ამ სამწუხარო ამბავთან ის სანუგეშო ამბავიც უნდა აღვნიშნო, რომ რომელ ავადმყოფსაც დროზედ მიუსწრო მკურნალმა და უწამლა, უშველა კიდეც. მკურნალები და ადმინისტრაციის წარმომადგენელნი გულმოდგინედ და უშიშრად აღსრულებდნენ თავიანთ მოვალეობას. ხალხმა გული დაიმშვიდა. მაზრის უფროსი იქვე სოფლის მახლობლად დაბინავდა და მკურნალებიც იქვე ჰყავდა დაბინავებული. სამღვდელონი ლიტანიობდნენ სოფლებში და წმიდა წყლით ასხურებდნენ ხალხსდა სადგურებს და ამხნევებდნენ სულით დაცემულთ.

ქაიხოსრო გელოვანი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ჩვენმა მკითხველებმა უკვე უწყიან დეპეშიდგან გამოჩენილის მეცნიერის რენანის სიკვდილის ამბავი. განსვენებული იანვრიდგანვე ავად იყო, ზაფხული ბრეტანს გაატარა, მაგრამ ჩინებულმა ჰავამაც ვერა უშველა-რა და, პარიჟს რომ დაბრუნდა, უფრო ავად გახდა. სამშაბათს, 15 სექტემბერს, რენანს შესცივნიყო, ფილტვის ანთებით გახდა ავად და 24 სექტემბერს გარდაიცვალა. საფრანგეთის ჟურნალ-გაზეთები ამ ჟამად ძლიერ ბევრსა სწერენ განსვენებულის რენანის შესახებ. ლიბერალური გაზეთები დიდს ქებას ასხამენ რენანის მიერ დაწერილ საფილოლოგიო, საფილოსოფიო და საისტორიო თხზულებებს, ხოლო კონსერვატორთა გაზეთები სწუხან, რომ განსვენებული რენანი, ისეთის დიდის ნიჭის პატრონი, არა სასურველ მიმართულებას ადგაო.

---

ალამონ, იგივე ხოლერისაგან მოკლულნი არ არიან?! მაგალითები შორს წაგვიყვანენ და ვგონებ, ოცი თაბახიც არ ეყოფა იმათ ჩამოსათვლელად მეფელეტონეს, განაღამც ერთი გაზეთის ფელეტონი და ამიტომ მეც თავს დავანებებ და მხოლოდ მკითხველსა ვსთხოვ, ამ გზით იფიქროს და თვითონაც მრავალი მაგალითი წარმოუდგება თვალ-წინ.

დიაღ, ბატონებო, ასე გახლავსთ; საცა უსამართლობა მძვინვარებს, საცა აჯამობა დაყიალობს, საცა უაზრობა და უგრძნობელობაა, ნამდვილი ხოლერაც იქა ბუდობს. მიკვირს და ვფიქრობ: თუ ეს სიცოცხლის მომსპობი ხოლერა გვაყაყენებს-მეთქი, ის ხოლერა, რომელიც კაცს ცოცხალ მკვდრადა ჰხდის, რატომ არაფერს გვათქმევინებს, ხმას არ ამოგვაღებინებს ასეთის ჭეხა-ქუხილით, როგორც პირველი ჯურის ხოლერა?! რად მინდა ისეთი სიცოცხლე, რომ ვგრძნობდე თავის სიკვდილს, მკვდარი ვარო, ვამბობდე? აქ არის ხოლერა, აქა!

—

ამ წინაზედ ჩემის მეგობრის წერილი მომივიდა. ხოლერა ჩვენც გვესტუმრაო, მწერდა, იქნება მეც მიმსხვერპლოს და ეს ჩემი წერილი უკანასკნელი-ღა იყოსო. სიკვდილი სიკვდილიაო, მაგრამ რად უნდა მოვკვდე ისე, რომ ჯერ არაფერი გამიკეთებია, ჩემის ქვეყნისათვის არაფერი მირგიაო. ამ სიტყვებმა დამაფიქრა. მართლაც, ესეც ერთი უმადურობა უნდა იყოს წუთისოფლისა: გაისტუმროს ისეთები, ვისაც რამ შეუძლიან არგონ ქვეყანას, ვისაც გული ერთი-ორად სტკივა სიკვდილის დღეს, ვკვდები და კი არაფერი გამიკეთებიაო. არაფერს კეთილად მოსაგონებელს არა ვსტოვებ წუთისოფელშიო. სიკვდილი ხომ სიკვდილია და ამ ფიქრის გამო სიკვდილს მეორე სიკვდილიც ზედ ერთვის.

დღეს შევიტყე, რომ ჩემი მეგობარი ხოლერას გადარჩენია, არც ტყეში გაქცეულა დასამალად, როგორც სხვები გარბოდნენ თხებივით და ვნახოთ ერთი, რა საქმეს დაიწყობს ქვეყნის სასარგებლოდ. თუ მართლა გააკეთა რამ, ნეტავი ჩემს ორსავ თვალებს და, თუ ტყუილი აღთქმა გამოდგა, მაშინ პირველი მე ვიტყვი, ნეტავი ხოლერას გადაეტანე, რაკი მაგისთანა უკეთური გამოხვიდოდი-მეთქი. მაშინ აშკარად დავრწმუნდები, რომ ჩემს მეგობარს მარტო ქვეყნის მოტყუილება სდებია გულში და „უკანასკნელად“ იმიტომ მწერდა წერილს, რა არის ის წერილი, თუ ვინიცობაა ჩემს მეგობარს ხოლერა შეიწირავდა, მე გაზეთში გამომექვეყნებინა: აი რასა მწერდა ესა და ეს, რა წადილი ჰქონდა გულში და რა საქმე გვიყო ამ წყეულ-შეჩვენებულმა ხოლერამ, რა კაცი დაგვაკლოვო. სხვა ან-კი რა მეთქმებოდა?! ესეც სახელია, მაგრამ წუთისოფლისათვის მოპარული, დაუმსახურებელი, არამი სახელი.

—

დღეს ერთი ხოლერა მიიპარება, თითქმის გაიპარა კიდეც; გვრჩება მხოლოდ მეორე ჯურის ხოლერა და ეხლა იმას ვებრძოლოთ, იმის წამალიც მოვსძებნოთ, იმაზედაც ვიფიქროთ: გაზეთებმაც დროა პირველს თავი დაანებონ და მეორეს მიაპყრან თვალი, იმ ჩუმ-ჩუმად მძრომელს, რომელიც სისხლს არ აჩენს, მაგრამ მკვდრებს-კი ამრავლებს. ეგები ესეც მოვიშოროთ თავიდამ. მაშინ ვნახოთ, თუ სიტყვა ხოლერა, როგორც მისი წარმომადგენელი, არ აღიგავოს, არ ამოიფხვრას დედა-მიწის ზურგიდამ. აქაც საჭიროა ყაყანი და იგივე ყაყანი; მასთან ერთად ხელებისა და ტვინის ფათურიც, თორემ მარტო ცარიელს ყაყანში არაფერი მოიხვეტება, როგორც კალიისაგან განადგურებულს მიწაზე.

ვაჟა-ფშაველა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი „Journal de Debats“-ი სწერს:

რენანი უპირველეს ყოვლისა იყო ისტორიკოსი და მეცნიერი. შესანიშნავი ლიტერატორი რენანი ერთსა და იმავე დროს შესანიშნავი, შრომის მოყვარე და ღრმა აზროვანი მეცნიერი იყო. რენანის თხზულებებს რომ დაუკვირდეთ, დარწმუნდებით, რომ რენანი, ეს ბრძენი მოაზრე გრამატიკოსიც იყო, პოეტიც და ლინგვისტიც და დიდის სიყვარულითა და გულმოდგინედ იკვლევდა ძველ დროის ნაშთთა წარწერებს. ყველაზედ საყვარელი საქმე-კი რენანისა სხვა-და-სხვა სარწმუნოების შესწავლა და გამოკვლევა იყო, იმიტომ რომ, რენანის აზრით, სარწმუნოება უფრო სრული ნაყოფი არის ადამიანის შემომქმედის სულისა.

გაზეთი „Temps“-ი სწერს:

რენანის გარდაცვალება დიდი დასაკლისია საფრანგეთისათვის. რენანი მეცნიერი-ფილოსოფოსი იყო, რომლითაც მეცხრამეტე საუკუნემ დაჰბადა და რომლითაც თავი მოსწონს მთელს საფრანგეთს. მეთვრამეტე საუკუნეს ჰყავდა ბეილი, ვოლტერი და რუსსო. მეცხრამეტე საუკუნემ დაჰბადა რენანი. თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ რენანის ჭკუა-გონებაში ერთად მოთავსდა ბეილის მცოდინარობა, განზოგადების ნიჭი და ირონია ვოლტერისა და აღგზნებული და პოეტური მისტიციზმი რუსსოსი. შეიძლება-ღა ადამიანმა უკეთესი ხვედრი ინატროს ისტორიაში?

საფრანგეთის თითქმის ყველა გაზეთებში დაბეჭდილია რენანის ანდერძი, რომელიც ფრიად საყურადღებოდ მივაჩნია. ამ ანდერძის შინაარსს შემდეგ ნომერში ვაუწყებთ მკითხველებს.

### ცხენების გამოფენა ტფილისში

ტფილისის დოღის საზოგადოების თავმჯდომარის, გენერალ-ლეიტენანტ ტუტოლმინის თაოსნობით და ბ-ნ ნ. ი. მეშჩერსკის ცდით გაიმართა წელს ტფილისში ცხენების გამოფენა. 25 ამ თთვეს გადახდილ იქმნა პარაკლისი და 26 დაიწყო გამოფენაც. გამოფენაზედ დაესწრნენ მთავარ-მმართებლის თანაშემწე ტატიშჩევი და სხვა მრავალნი წარჩინებულნი კაცნი. გამოფენის ადგილას აეშენებინათ გომური, რომელიც მთლად სავსე იყო საუკეთესო ცხენებით. ამ გომურში სულ 30 ცხენია. 14 ცხენიც მოთავსებულია ფარდულს ქვეშ, რომელიც საჩქაროდ აშენდა გომურის გვერდზედ. სულ 44 ცხენია გამოფენაზედ. აქ ჰნახავთ სუყველა ჯურის ცხენს: ინგლისურ ჯიშისას, რომელიც პირველ ჯიშად ითვლება; აქ არიან არაბული ცხენებიც, ყარაბაღულიც—დილიბოსები, რომლებსაც ინგლისის ჯიშის შემდეგ მეორე ალაგი უჭირავს. ჩვენებური ცხენები სულ უკანასკნელის ჯიშისანი არიან. თვალ-ტანადობაშიაც და ჰენებაშიაც სხვა ჯიშის ცხენები ბევრად სჯობიან ჩვენებურისას. ინგლისურის ჯიშის ცხენები გამოფენაზედ მხოლოდ სამია, ორი—თ. სვიმონ წერეთლისა «კაი-გოგო» და «კაი-ბიჭი» და ერთიც—გენ. მარკოვის ცხენი «Весна»

გამოფენილია აგრეთვე ცხენის ყოველ გვარი იარაღი და დარახტულობა: უნაგირები, ხამუთები; და აგრეთვე—შესანიშნავის ცხენების სურათები; ამ სურათებში საყურადღებოა სურათი «Vermout»-ისა რომელსაც ერთის წლის განმავლობაში 200,000 მან. აუღია დოღებში. აქვეა გენ. ტუტოლმინის ნალების კოლლექცია, რომელშიაც ურევია წალა-ნალი. არის აგრეთვე გამოფენილი გვრიტიშვილის ქარხანაში გაკეთებული აქლემების შესაკმაზი თასმეულობა, მოგონილი თვით გვრიტიშვილისაგან ომიანობის დროს ზარბაზნების ტარებისათვის აქლემების შესაბმელად.

საინტერესო სანახავია ხამუთები და თასმეულობა, გაკეთებული გალიცინისა, მოროზოვისა, თევდოროვისა და ქარუმოვისაგან. უკანასკნელის 3 ხამუთი და ყოველი საჭირო სამკაული, სამის ცხენის შესაბმელი, იყიდა ბ-ნმა იედიგაროვმა 200 მანეთად. მშვენიერი ნაკეთია ნალები რადიონოვისა და ჟივოვისა; აქვეა მეშჩერსკისა და ერთის ყაზახის აფიცრის დრაგომიროვის კოლლექცია ნალებისა, რომელიც იმან პეტერბურგიდგან ჩამოიტანა. კალაუშნიკოვის სუფთად ნაკეთმა და მსუბუქმა კეხებმა დიდი ყურადღება მიიქცია ბ-ნ ტატიშჩევისა და აგრეთვე სხვებისაც. საყურადღებოა აგრეთვე ინგლისური საჯირითო უნაგირი,—საუკეთესო ყვითელი თალათინისაა და უზანგებიანად იწონს 2 გირვანქას; ეს უნაგირი 500 მანათად არის ნაყიდი ლონდონში ამ რამდენისამე წლის წინად და ახლა კ. მ. ენიკოლოფოვს ეკუთვნის. გამოფენის გარემონი მორთულია ყვავილებითა და მწვანით.

## რუსეთი

„Церковный Вѣстникъ“-ში დაბეჭდილია ვრცელი წერილი, რომელიც შეეხება ფრიად საყურადღებო საგანს, სამრევლო სკოლების რევიზას. „სარევიზიოდ ხშირად დადიან, ამბობს ზემოხსენებული გაზეთი, მაგრამ აი როგორია ეს რევიზია: რევიზორი ჰკითხავს ცოტა რამეს სღმთო წერილისას, აამბობინებს 2—3 ძველის, ან ახალის აღთქმის მოთხრობას, მისცემს გამოსაცნობლად მომეტებულ ნაწილად მასწავლებლის მიერვე ამორჩეულს საარითმეტიკო ამოცანას, 3—5 შეგირდს წააკითხებს რამდენსამე სტრიქონს დავითნისას და სახარებისას. აი ეს არის დღეს ანი და ბანი სამრევლო სკოლების რევიზიისა. თუ ესეთია რევიზია სკოლებში, შესაძლებელია რევიზორი ადვილად მოსტყუვდეს სკოლის გამო. ასეც არის. მაგალითად, არის სკოლა, რომლის თავმჯდომარემ და წევრმა სულ სხვა-და-სხვა ნაირი აზრი გამოსთქვეს ამ სკოლის შესახებ, თუმცა-კი ორივენი თითქმის ერთსა და იმავე დროს იყვნენ იმ სკოლაში სარევიზიოდ. ერთს მოეწონა სკოლა და მეორე-კი ამბობდა, რომ შეუძლებელ ყოფაშიაო. ამისთანა მაგალითი-კი მრავალია.

სასულიერო გაზეთი ამბობს, რომ ამ გვარის რევიზიით რევიზორმა შეიძლება მარტო შეგირდების ცოდნა გაიგოს, მაგრამ-კი ვერ დააფასებს იმას, თუ როგორ არის მასწავლებელი დახელოვნებული შეგირდების წვრთნაში და, თუ საჭირო იქნება, მისცეს დარიგება.

იქნებ საკმაოდ კარგს მდგომარეობაშია სკოლა და არავის ხელ-მძღვანელობას საჭიროებს, მაგრამ აი კიდევ რას ამბობს „Церк. Вѣст.“-ი: „დაუკვირდით სკოლის მდგომარეობას და თქვენ სრულიად სხვას ჰნახავთ. სწავლა ფრიად უვარგისია, აღზრდა უწესოდ სწარმოებს და სხვა მრავალი ნაკლულევანება აქვს დღევანდელს სკოლას“. ამიტომ ზემოხსენებული გაზეთი ურჩევს იმათ, ვისიც ხელშია დღეს სამრევლო სკოლები, მონახონ რიგიანი მასწავლებლები და ნივთიერად უზრუნველ ჰყონ სკოლა. „არავისთვისაა დაფარული, რომ სამრევლო სკოლები, სადაც მასწავლებლებად მღვდლებივე არიან, დღეს ძლიერ ცოტაა. ამიტომ დიდი სამსახური არ გაუწევიათ ქვეყნისთვის იმ საზოგადოებათ, რომელთაც ათიოდე სკოლა გაუმართავთ და მასწავლებელს წელიწადში 60, 80 და 120 მ. აძლევენ. ამიტომ მასწავლებელნი იძულებულნი არიან სკოლას თავი დაანებონ, რადგან ეს ჯამაგირი პურს ვერ აჭმევს.

## უცხოეთი

**ჩინეთი.** ამ ბოლოს დროს ჩინეთის მთავრობა დიდის გულ-მოდგინებით შეუდგა რკინის გზის გაყვანას მანჯურიაში. ეს ახალი საქმე, როგორც სხვა ყოველი კეთილი დაწყობილება ჩინეთში, უნარია ჯილის ვიცე-კოროლ ლი-ხუნ-ჯანისა. ლი-ხუნ-ჯანი ამტკიცებს, რომ ამ რკინის გზას დიდი სამხედრო მნიშვნელობა ექმნებაო.

ჯერ ისევ ამ ათის წლის წინად ჩინეთის მთავრობა დიდი წინააღმდეგი იყო რკინის გზის გაკეთებისა თავისს ქვეყანაში. მაგრამ 1881 წელს ერთმა კერძო კაცმა, ევროპიელმა ინჟინერმა კინდერმა თავისის ხარჯით გაიყვანა რკინის გზა მცირე მანძილზედ. ეს საქმე ძლიერ მოეწონა ლი-ხუნ-ჯანის, რომელმაც დიდის მეცადინეობის შემდეგ 1886 წელს დაითანხმა მთავრობა, რომ რკინის გზა გაეყვანათ ხაზინის ხარჯით სახელმწიფოს თვალსაჩინო ადგილებში. ამავე წელს შესდგა „ჩინეთის რკინის გზის საზოგადოება.“ „საზოგადოებამ“ პირველად რკინის გზა გამართა ლუტასა, ტანკუსა და ტიან-ძინს შორის 1888 წელს და მეორე წელს გაიყვანა დაბა გუ-ეჯუნისაკენ, სადაც შეიძინა ქვა ნახშირის მადანი. რაკი ასე კარგად მიდიოდა საქმე, კინდერმა მოისურვა გაეკეთებინა ახალი დიდი გზა. კინდერს უნდოდა ეს გზა გაეტარებინა პეკინზე და შესულიყო შუა-გულ სახელწიფოს ნაწილებში, მაგრამ ჩინეთის მთავრობამ დიდი უარი უთხრა ამაზე. ეხლა-კი ჩინეთის მთავრობამ, რაკი გაიგო, რომ რუსეთი აკეთებს რკინის გზას ციმბირშიო, მოისურვა გაიყვანოს რკინის გზა მანჯურიაში რუსეთის საზღვრამდე. მუშაობას კიდეც მიჰყვეს ხელი და ახალი რკინის გზა მზად იქნება 1893 წლის ივნისისთვის.

## წვრილი ამბავი

— საფრანგეთის ერთს ქალაქში მოქალაქეს მისცეს სამგზავრო ბილეთი, რომელშიაც ასე აღუწერეს პირი-სახე: თმა-წარბი შავი აქვს, თვალები წაბლის ფერი, ნიკაპი რგვალი, და მამას ძლიერ ჰგავსო... მოდით და ამ ნიშნებით კაცი იპოვეთ.

— ევროპის გამოჩენილი არტისტი ქალი ადელინა პატი 1 ოქტომბრიდგან დაიწყებს მოგზაურობას და მოივლის ინგლისის ქალაქებს. პირველად წარმოდგენას ბრისტოლს გამართავს.

— ვაშინგტონში (ამერიკაშია) ამას წინად დაუჭერიათ ყმაწვილი ჩინელი ლეონ ფაო და უპოვნიათ ქაღალდებიც, საიდგანაც სჩანს, რომ სან-ფრანცისკოს შემდგარა საზოგადოება და განზრახვა აქვს, ჩინეთის ხელმწიფე მოჰკლასო.

— ნიუ-იორკში დაუარსებიათ კლუბი და წევრებად ჩაწერილან «ჟურნალის» ის მწერლები, რომლებიც ხოლერის შესახებ სწერდნენ ამბებს.

— 1883-ს წელს შვეიცარიაში 576 ჟურნალ-გაზეთი იბეჭდებოდა. ახლა-კი 812 იბეჭდება, ამათში 544 გერმანულად, 237 ფრანგულად, 23 იტალიურად და ერთიც ეგრედ წოდებულს „ვოლაპიუკის“ ენაზედ.

— ემილ-ზოლას განუზრახავს ახალის რომანის დაწერა, რომელსაც სახელად ეწოდება „ლურდ—რომ—პარიჟი“, სამ ნაწილად. ერთს ნაწილში აწერილი იქნება სარწმუნოებრივი მოძრაობა სხვა-და-სხვა დროს მთელს ქვეყნიერებაზედ, ხოლო იმ ნაწილს, რომელსაც „პარიჟი“ ეწოდება სათაურად, საგნად აქვს ესლანდელის სოციალურის მდგომარეობის გამორკვევა.

— ოსმალეთის ქვეყანაში ყველაზედ მეტი გაზეთი ეგვიპტეს იბეჭდება—სულ 92. აქედგან 56 ქაირში, 18 ალექსანდრიაში და 8 პორტსაიდში. ამათში 40 არაბულია, 24 ფრანგული, 16 ბერძნული, 10 იტალიური და 2 ინგლისური.

— ამ ბოლოს დროს დაიწყეს დიდის ტელესკოპების კეთება და ობსერვატორიების აშენება მაღლობ, მთა ალაგას. დიდი ტელესკოპები, რომლითაც სინჯავენ ღამის მნათობთ ასტრონომები, ადიდებს ზოგიერთს გასასინჯს მნათობს 1000, 1500 და 2000-ჯერაც-კი. ამას გარდა მნათობთა სინჯვას დიდად ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ ობსერვატორიები მაღლობ ადგილას არის გამართული. ამერიკაში ერთს ქვეყანაში, სახელდობრ პერუს, არის ერთი ასეთი ობსერვატორია. ამ ობსერვატორიის დირექტორმა ვილიამ პიკერინგმა შენიშნა მთვარეზედ დიდი ცვლილება სამის ცეცხლ-მფრქვეველის მთის წვეროებისა. ეს ცვლილება ამტკიცებს, რომ ცეცხლის ფრქვევა კვლავ სწარმოებს. ხოლო ეს ამბავი არ შეიძლება უწყლოდ. რა-კი დამტკიცდება, რომ მთვარეზედ წყალი და მდინარეებია, ისიც უნდა ვიფიქროთ, რომ ჰაერიც ყოფილა. მეორე ასტრონომმა, რომლის ობსერვატორიაც გამართულია ჰამილტონის მთაზედ კალიფორნიაში, შეჰნიშნა თურმე მთვარეზედ თეთრი ლაქები, რაიცა ამტკიცებს მთვარეზედ თოვლის არსებობას. იმავე ასტრონომმა მთვარის სურათი აიღო ტელესკოპის შემწეობით, რომელიც თურმე ადიდებდა მთვარეს 1000-ჯერ. ეს ფოტოგრაფიული სურათი გაადიდა ვეინეკის მიერ მოგონილ მანქანით 20-ჯერ და შეჰნიშნა სურათზედ მრავალი მოკლეარე, შტოებად დაყოფილი წვრილი ხაზები, რომელიც ძრიელ თურმე ჰგავს მდინარეებს. ასეთივე აზრი დაასკვნა თვით ვეინეკმა, პრაგის ობსერვატორიის დირექტორმა მთვარეზე მდინარეთა არსებობის შესახებ.

— 14 სექტემბერს იაფასა და იერუსალიმს შუა გამართულ რკინის გზაზედ უკვე დაიწყო მიმოსვლა მატარებლისა. ეს გზა გაკეთებულია საფრანგეთის ფულით საფრანგეთისავე ინჟენრებისაგან და, მაშასადამე, საფრანგეთივე ისარგებლებს ყველაზედ მეტად. ამიტომ პარიჟის გაზეთებს ერთი ამბავი აქვთ ამ რკინის გზის დამთავრების გამო. ეს გაზეთები ერთხმად გაიძახიან, რომ ამას შემდეგ საფრანგეთს უწინდელი ძალა და ხმა ისევ დაუბრუნდება აღმოსავლეთის ქვეყნებშიო.

იაფასა და იერუსალიმს შუა დიდი მანძილი არ არის, სულ ათის საათის სავალი გზაა კაი ცხენით, მაგრამ სამაგელი გზა-კია, ძლიერ ცუდი სავლელი. ახლა-კი რკინის გზით სამს საათს გაივლის კაცი. იმედი აქვთ, რომ ამას შემდეგ მლოცავთა რიცხვი იერუსალიმისა და სხვა აღმოსავლეთის ქვეყნებისაკენ დიდად იმატებსო და სამერმისოდ შესაძლოა სხვა გზებიც გაკეთდეს იმ ქვეყნებშიო.

### წერილი რედაქციის მიმართ

ნება მიბოძეთ, თქვენის გაზეთის შემწეობით მადლობა გამოვუცხადო ოზურგეთის საზოგადოებას, რომელმაც გამოიჩინა გულითადი თანაგრძნობა და შემოსწირა ჩემს ამხანაგს, ღარიბ სტუდენტს ბ. გ—ძეს 55 მან. 10 კ.

ეს ფული ამ ათის დღის წინად გადავეცი კუთვნილებისამებრ.

აი სია შემომწირველთა: კნ. სალომე გურიელისამ 3, კნ. ნინო გურიელისამ 2 მ., არტემ დავიდიანცმა 5 მ., თავ. ლევან გურიელმა 3 მ., ნიკო გეგელაშვილმა 3 მ., იაგორ თაყაიშვილმა 2 მ., ბესარიონ კალანდაძემ 2 მან., პროკოპი ბერეჟანმა 2 მან., და ორიოდე სხვებმა თითო მანეთი, აგრეთვე ათ-ათი შაური და ნაკლებიც.

სტუდენტი მოსკოვის უნივერსიტეტისა
ერმილე ხუნდაძე

მოსკოვი
1892 წელს, 22 ენკენისთვეს

## დეპეშა

29 სექტემბერი

**ლონდონი.** ყველა გაზეთები იმ წერილის განხილვაში არიან, რომელიც დაბეჭდილია «Туркест. Вѣд.»-ში პამირის შესახებ და უარ-ჰყოფენ რუსულის გაზეთის აზრს, ვითომ პამირი უდავოდ რუსეთის კუთვნილებააო.

**მარსელი.** ოფიციალურად არის გამოცხადებული, რომ ორი კიდევ გახდა ავად საეჭვო ავადმყოფობითაო. სიკვდილით ნაკლებად იხოცებიან.

**კობურგი.** აქ მობრძანდნენ ედინბურგის ჰერცოგინიას სანახავად დიდი მთავარი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე თავის მეუღლით.

**ვენა.** დღეს შუადღისას მობრძანდა აქ გერმანიის იმპერატორი, რომელსაც მიეგებნენ იმპერატორი ფრანც-იოსები და ერცჰერცოგნი.

აქაური გაზეთები ამბობენ, რომ გერმანიის იმპერატორის ეხლანდელს მობრძანებას სადარბაზოდ საპოლიტიკო მნიშვნელობა აქვსო.

**ბელგრადი.** პაშიჩის ლაპარაკიდამ სჩანს, რომ მისი მოკვლა მართლა

მოუნდომებიათ. მთავრობამ გაჰგზავნა საკასაციო სასამართლოს წევრი ანდრეიანოვიჩი ადგილობრივვე საქმის გამოსაძიებლად.

30 სექტემბერი

**პეტერბურგი.** რამდენისამე საგუბერნიო მთავრობის თხოვნის გამო, საერო განათლების მინისტრი მოელაპარაკა შინაგან საქმეთა სამინისტროს გამგებელს და მისის თანხმობით საჭიროდ დაინახა გადასდოს ეგზამენები სამკურნალო ფაკულტეტებსა და გამოსაცდელ კომისიებში სტუდენტ-მკურნალთათვის 1893 წლის 7 იანვრამდე.

**ვენა.** დღეს იმპერატორი ვილჰელმი სადარბაზოდ მივიდა გრაფ კალნოკისთან, შემდეგ ჰნახა სამარხი ჰაბსბურგთა სახლისა და მემკვიდრე პრინცის საფლავი შეამკო გვირგვინით. საღამოზედ შენბრუნში იყო შინაური სადილი, რომელსაც დაესწრნენ ერცჰერცოგნი, ერცჰერცოგინიები და აუგუსტესნი წევრნი. სადილის შემდეგ იმპერატორები დაესწრნენ სამეფო კარის საოპერო თეატრში წარმოდგენას.

პეტერბურგის ბირჟა, 29 სექტ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,93 | 7,90 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 158½ | 158 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1,10 | 1,08 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 238 |
| —მეორისა . . . . | — ,, | 218 | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | 191½ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6% . . . . . . | — ,, | 102¼ | — ,, |
| 5% . . . . . . | — ,, | 99,87 | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6% . | — ,, | 102¼ | — ,, |
| 5% . . . . . . | — ,, | 99,87 | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | 98 ,, | — ,, |

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

**რკინის გზის მიმოსვლა**

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის . . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისსმიდის „ . . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ორშაბათობით, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პარასკეობით, დილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ერჩსა და ნოვოროსიისკზე. კვირაობით დილით, სტამბოლიდგან.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, გაადისაითს.

ფოთიდგ გადის:ან

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით-დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობით-საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

**გამოსადეგი ცნობანი**

ნიხრი

1892 წ. 18 ენკენისთვიდგან ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. „ კ.
წითელი „ 1-ის ხარისხ. „ „ „
„ „ 2
თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ „ „
„ „ „ 2 „ „ „
„ „ „ 3 „ „ „

ჯვარის მამის პურის ლავაში.
1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. კ.
მე-2 „ „ „ „ .
მე-3 „ „ „ „ „
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 6 „
„ „ 2 „ „
სუკი — — — 12 „
ცხვრის ხორცი — — 7 „
ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. გ. „
მე-2 ხარ. ტყავიანად „

# განცხადებანი

## ავეჯი

სხვა-და-სხვა, ოჯახის ნივთები და ძროხა ისყიდება ტფილისიდგან წასვლის გამო. საბალოსნო სკოლა, მუშტაიდის ახლო, სკოლის მმართველის სახლში. 3—3

ძველი სენაკის ბაზრობა (იარმუკა), რომელიც გადადებული იყო ხოლერობის გამო, ახლა, მთავრობის ნება დართვით, დაიწყება 3-ს ოქტომბერს და განიგრძობა, ჩვეულებრივ, დაბა ძველს ძენაკში. 3—2

გმოვიდა და დაურიგდა აგენტებს. ქუთაისის ამხანაგობის მიერ გამოცემული

1) „**სურათები ჩვენის ხალხის ცხოვრებიდან**“

დუტუ მეგრელისა;

2 „**დედა-შვილის თავ-გადასავალი**“

(აპენინის და ანდის მთები)

ე. დე—ამიჩისისა.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ამავე ამხანაგობის შემდეგს აგენტებს:

ქუთაისში ძმ. ჭილაძეთა და წერეთლების წიგნის მაღაზიებს.

ტფილისში წერა-კითხვის და ტფილისის ამხანაგობის მაღაზიებს;

ოზურგეთში თავართქილაძის წიგნის მაღაზიას;

ბათუმში მ. ი. ნიკოლაძის გაზეთების, და წიგნების სააგენტოს;
გორში არ. კალანდაძის სტამბას;
ზესტაფონში თ. ხუსკივაძეს და ი. კაკაბაძეს;
ფოთში ნოდიას წიგნის მაღაზიას;
გავკავში ტ. კახიძეს;
საჩხერეში ყარამან ჩხეიძეს;
ახალ-სენაკში თავართქილაძის მაღაზისა;
ძველ-სენაკში ი. გოგოლაშვილს და ლ. ალლაძეს;
ოჩემჩირეში ი. ეგგელაშვილს;
ხონში ნ. წერეთელს;
ახალციხეში გრ დეკანოზზიშვილს;
თელავში მიხ. ცისკარაშვილს;
სიღნაღში მაჭავარიანის წიგნის მაღაზიას;
ონში ნიკოლოოზ მრევლიშვილს;
სოხუმში ნ. ბერძენოვის ასულს.
ბაქოში გ. ხუტულაიშვილს;
ყარსში მ. მუსელიანს;
ზაქათალაში ტ. რცხილაძეს;
განჯაში დ. ქვლივიძეს;
ბაღდადში ნ. ტყეშელაშვილის ასულს;
ერევანში ს. კასრაძეს;
სამტრედიაში გელეიშვილის წიგნის მაღაზიას;
ქუთაისის რკინის გზის სადგურზედ ი. ხეთერელს. (6—3)

## კბილის ექიმი
## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—117)

## „სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავაშვებულის ცხოვრებით.

**თხზ. დ—რის ლორენცისა.**

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზედ დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტ ტო ასპერგერთან ლეიპციგს Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.

(36— 13)

გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში (Караванъ-сарай Земельн. банка № 125) ახალი წიგნი.

## რუხი მგელი

მოთხრობა **გ. წერეთლისა**

ფასი სამი შაური

ვისაც ჰსურს ქართულ თეატრში სამსახური ამ მომავალ $18^{92}/_{93}$ წ. სეზონში კეთილ ინებონ და მიჰმართონ ბ-ნ ვასილ სულხანიშვილს.

ტფილისი, რეუტოვის ქუჩა, № 10. ყოველ დღე, საღამოს 6—7 საათზედ.

(10—9)

## რუსეთის საზოგადოება ცეცხლისაგან დაზღვევისა

კანტორა უმთავრესის სააგენტოსი კავკასიისათვის არის ტფილისში, განოვის ქუჩაზედ, ნოტარიუს მამიკონოვის კანტორის გვერდზედ, ყაზაროვის სახლში.

ინსპექტორი საზოგადოებისა ვ. ფ. ტარანოვი.

(10—5)

იოსებ ი. გოკიელოვის მაღაზიაში

## ქუთაისში

ისყიდება მოსწავლეთა რვეულები (ტეტრადები) კარგის ხარისხისა.

თითო 3 კაპ.

**ასობით** 2 მ.—50 კ.

აგრეთვე მცირე ფასებად მოსწავლეთა ყველა კუთვნილებანი.

(20—116—12)

## თამბაქოს ფაბრიკა

### ნიკოლოოზ ივანეს ძის ბოზარჯიანცისა

**ტფილისში**

არსებობს 1858 წლიდგან.

მივაქცევ პატივცემულ საზოგადოების ყურადღებას ჩემს ფაბრიკაში საფრანგეთის საუკეთესო ქაღალდით მომზადებულს დაუწებებელს პაპიროსს, რომელიც კეთდება განსაკუთრებულის მაშინებით, ძალიან რიგიანადა და სუფთად. ამ გვარად მომზადებულს პაპიროს, ბ-ნთ მომხმარებლებს სახამებლის არა-სასიამოვნო გემოს აცილებს თავიდგან.

ახალად მივიღეთ დიდ-ძალი საუკეთესო ოსმალეთის სურნელოვანი თამბაქო, რომელსაც პაპიროსადაც ვაკეთებთ, თამბაქოდაც ვყიდით ყოველ შემომკვეთლის გემოვნების, დიდად ზომიერ ფასად.

შემომკვეთლებს შეუძლიანთ მიჰმართონ სასახლის ქუჩაზედ, № 1.

(10—9)

## საკომერციო კურსები

**ქალებისა და ვაჟებისათვის**

წელიწადი მეათე

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1892—93 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია მარტივი ორ-კაცი და საბანკო 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გარკვეული და შნოიანი.

სწავლა დაიწყება 1 ოქტომბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 15 სექტემბრიდამ, ყოველ დღე საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩებზე, აფთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ბ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—80—16)

## ბუნების კარი

დაიბეჭდა წერა-კითხვის საზოგადოების მიერ მეშვიდე გამოცემა, გადმობეჭდილი უცვლელად მეხუთე გამოცემიდგან, რომელიც სახელ-გაკეთებულია (рекомендовано) განათლების მინისტრისაგან როგორც „მშვენიერსახელმძღვანელო ქართულის ენისა სახალხო სკოლებისა და პროგიმნაზიებისათვის“, და აგრეთვე უწმიდესის სინოდის მიერ. ფასი მკვიდრი და ლამაზი ყდით ოთხაბაზუზალთუნი (90 კაპ.), უყდოდ ეს გამოცემა არ ისყიდება. ვინც ნაღდ ფულზედ იყიდის ათს ცალსა, წიგნი დაეთმობა ოთხ აბაზად, ვინც ოცს ცალსა—თხუთმეტ შაურადდავინც ოც-და-ათს ცალსა—თოთხმეტ შაურად.

სხვა ქალაქებიდგან წიგნი უნდა დაიბარონ ამ ადრესით: въ Тифлисъ, въ книжный магазинъ Общества грамотности, Банковскій Караванъ-Сарай, № 125 и 126.

Дозв. ценз. Тифлисъ, 30-го Сентября 1892 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.